XI დანართი

მოხსენიებულია მუხლში 5.21

სატელეკომუნიკაციო მომსახურება

<u>XI დანართი</u>

<u>მოხსენიებულია მუხლში 5.21</u>

<u>სატელეკომუნიკაციო მომსახურება</u>

<u>მუხლი 1</u>

მოქმედების სფერო და განმარტებები

1. ეს დანართი ვრცელდება მხარეთა მიერ მიღებულ ზომებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სფეროში ვაჭრობაზე[1] იგი არ ვრცელდება მხარის მიერ მიღებულ იმ ზომებზე, რომლებიც დაკავშირებულია რადიო ან სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობასთან ან მაუწყებლობის ტრანზიტთან.[2]

2. აღნიშნული დანართის მიზნებისთვის:

(a) „სატელეკომუნიკაციო მომსახურება" ნიშნავს სიგნალის გადაცემას და მიღებას ნებისმიერი ელექტრომაგნიტური საშუალების გამოყენებით. სატელეკომუნიკაციო მომსახურების სექტორი არ მოიცავს იმ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც გულისხმობს სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამოყენებით კონტენტის გავრცელებას..

(b) „მარეგულირებელი ორგანო“ გულისხმობს ორგანოს ან ორგანოებს, რომლებსაც ამ დანართში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით აკისრიათ მარეგულირებელი ფუნქცია.

---

1 ამ დანართის მიზნებისთვის, „ვაჭრობა სატელეკომუნიკაციო მომსახურების სფეროში“ განისაზღვრება შეთანხმების მუხლში 5.3 (a)(i) მოცემული განმარტების შესაბამისად.

2 ამ დანართის მიზნებისთვის, „მაუწყებლობა“ განიმარტება თითოეული მხარის ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.

(c) „არსებითი საშუალებები“ გულისხმობს საერთო სარგებლობის სატელეკომუნიკაციო ქსელის ან მომსახურების ელემენტებს, რომლებიც:

(i) ექსკლუზიურად ან ძირითადად მიწოდებულია ერთი ან შეზღუდული რაოდენობის ოპერატორების მიერ; და

(ii) მომსახურების მიწოდების მიზნით ვერ ჩაინაცვლება ეკონომიკური ან ტექნიკურად თვალსაზრისით;

(d) „მსხვილი ოპერატორი“ გულისხმობს ოპერატორს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა არსებითი გავლენა მოახდინოს ძირითად სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესაბამის ბაზარზე ფუნქციონირების (ფასისა და მიწოდიბის თვალსაზრისით) პირობებზე იმის შედეგად, რომ:

(i) აკონტროლებს არსებით საშუალბებს; ან

(ii) იყენებს ბაზარზე საკუთარ პოზიციას.

<u>მუხლი 2</u>

კონკურენციის დაცვითი ზომები

1. თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ იმ ოპერატორებს, რომლებიც, მარტო ან ერთობლივად, წარმოადგენენ მსხვილ ოპერატორებს, , ხელი შეუშალონ კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების დაწებაში ან გაგრძელებაში.
2. პირველ პარაგრაფში მითითებული კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები მოიცავს:

(ა) კონკურენციის შემზღუდველ კროს-სუბსიდირებაში მონაწილეობას;

(ბ)კონკურენტისგან მოპოვებული ინფორმაციის კონკურენციის შემზღუდველი მიზნებისთვის გამოყენებას; და

(გ) მომსახურების სხვა ოპერატორებისთვის, , არსებით საშუალებებთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდებისთვის აუცილებელი, კომერციულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულად მიწოდების ხელშეშლას.

მუხლი 3

ურთიერთჩართვა

1. ეს მუხლი ეხება იმ ოპერატორების დაკავშირებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო სარგებლობის სატელეკომუნიკაციო ქსელებს ან მომსახურებას, რათა მიეცეს საშუალება ერთი ოპერატორის მომხმარებელს დაუკავშირდეს მეორე ოპერატორის მომხმარებელს და ჰქონდეს წვდომა მეორე ოპერატორის სერვისებზე, სადაც სპეციფიკური ვალდებულებებია აღებული.

2. თითოეული მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, მსხვილი ოპერატორის მიერ სხვა ოპერატორების ქსელში ურთიერთჩართვა ტექნიკური მიზანშეწონილების დროს. ასეთი ურთიერთჩართვა უნდა განხორციელდეს:

(a) არადისკრიმინაციული პირობებით (მათ შორის ტექნიკური სტანდარტები და მოთხოვნები) და ტარიფებით; ამასთან მიწოდებული მომსახურებს ხარისხი უნდა იყოს არანაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე მისი საკუთარი მსგავსი მომსახურების ან სხვა მსგავსი სერვისის მიმწოდებელი არა-აფილირებული ოპერატორის ან მისი შვილობილი კომპანიების ან სხვა აფილირებული ოპერატორისთვის არის უზრუნველყოფილი;

(b) დროულად, ვადებში, პირობების (მათ შორის ტექნიკური სტანდარტები და მოთხოვნები) და ხარჯზე-ორიენტირებული ტარიფების დაცვით, რომლებიც, ეკონომიკური მიზანშეწონილების გათვალისწინებით, უნდა იყოს გამჭვირვალე, გონივრული, და საკმარისად გამოცალკევებული, ისე რომ ოპერატორს არ მოუწიოს ქსელის იმ კომპონენტებისა თუ საშუალებებისათვის გადახდა, რომლებიც არ ესაჭიროება მომსახურების მისაწოდებლად;

(c) მოთხოვნისა და დამატებითი ანაზღაურების საფუძველზე, მომხმარებლების უმრავლესობისთვის შეთავაზებული ურთიერთჩართვის წერტილისგან განსხვავებულ ადგილზე ; ანაზღაურება უნდა ასახავდეს დამატებითი საშუალებების მოწყობისათვის გაწეულ დანახარჯებს.

3. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მსხვილი ოპერატორის ურთიერთჩართვის მოლაპარაკებების შესაბამისი პროცედურები იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

4. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მსხვილმა ოპერატორმა თავისი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება გახადოს ხელმისაწვდომი მეორე მხარის ოპერატორებისთვის ან გამოაქვეყნოს ურთიერთჩართვის ოფერტა.

5. როდესაც ოპერატორები მსხვილ ოპერატორთან, გონივრულ დროში, ვერ აგვარებენ დავას ურთიერთჩართვის ხელშეკრულების მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, თითოელი მხარე უზრუნველყოფს, რომ ოპერატორებმა, ურთიერთჩართვის შესაბამის პირობებთან და ფასებთან დაკავშირებული დავის გონივრულ დროში გადაწყვეტის მიზნით, მიიღონ დახმარება დამოუკიდებელი ადგილობრივი ორგანოსგან, რომელიც შესაძლოა იყოს მარეგულირებელი ორგანო, როგორც ეს მითითებულია მეექვსე მუხლში. ამ ორგანომ, ბაზარსა და სექტორზე მოქმედი ნორმალური პრინციპებისა და ამ დანართში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს ურთიერთჩართვის პირობები,. დახმარება შეიძლება მოიცავდეს მორიგების სპეციალურ პროცესს.

მუხლი 4

უნივერსალური მომსახურება

1. თითოეულ მხარეს აქვს უფლება განსაზღვროს უნივერსალური მომსახურების ვალდებულებები.

2. მხარის უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული ზომები უნდა იყოს გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული. ისინი ასევე უნდა იყოს ნეიტრალური კონკურენციის კუთხით და არ იყოს აუცილებელზე მეტად დამამძიმებელი.

მუხლი 5

ლიცენზირების პროცედურა

1. როდესაც სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისთვის საჭიროა ლიცენზია, მხარის კომპეტენტურმა ორგანომ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს:

(ა) ლიცენზიის პირობები;

(ბ) დროის პერიოდი, რომელიც საჭიროა ლიცენზიის განაცხადზე გადაწყვეტილების მისაღებად;

(გ) შეზღუდული რესურსების განაწილებისათვის საჭირო კრიტერიუმები, მათ შორის ჭარბი მოთხოვნის არსებობის პირობებში, სიხშირის განაწილებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები.

2. სიხშირული რესურსის გამოყენების ლიცენზირების გარდა, თუკი კანდიდატი აკმაყოფილებს სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო ლიცენზიის მისაღებად მოქმედ პირობებს, მხარის კომპეტენტურმა ორგანომ მას უნდა მიანიჭოს ლიცენზია ექვსი თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მხარის კანონებისა და რეგულაციების მიხედვით, შეტანილი განაცხადი ჩაითვლება სრულყოფილად,.

3. მხარის კომპეტენტურმა ორგანომ, განაცხადის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შედეგი კანდიდატს. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადზე მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, მხარის კომპეტენტურმა ორგანომ, მოთხოვნის საფუძველზე, კანდიდატს უნდა აცნობოს უარის გამომწვევი მიზეზი.

მუხლი 6

მარეგულირებელი ორგანო

1. თითოეული მხარის სატელეკომუნიკაციო სფეროს მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი ნებისმიერი ძირითადი სატელეკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორისგან და არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული მის წინაშე.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ან განხორციელებული პროცედურები იქნება მიუკერძოებელი ბაზრის მონაწილეების მიმართ.

3. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მეორე მხარის ოპერატორებს, რომლებზეც ვრცელდება მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება, ჰქონდეთ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოსა ან სასამართლოში გასაჩივრების უფლება, იმავე მხარის კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 7

შეზღუდული რესურსები

თითოეულმა მხარემ, ობიექტურად, დროულად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად უნდა განახორციელოს შეზღუდული რესურსების, მათ შორის სიხშირეების, ნუმერაციის და გამოყენების უფლებების, განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურები. თითოეულმა მხარემ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ინფორმაცია განაწილებული სიხშირული დიაპაზონის მიმდინარე სტატუსის შესახებ.

_____